სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N0419/454

ქ. თელავი

14 აპრილი 2014 წ.

ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, წარმოდგენილი გამგებლის გივი მეტრეველის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბილდინგი“, მისი დირექტორის ზურაბ სვიმონიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანი შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სოფ. ფშაველში საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

2.2 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 45453000 - კაპიტალური რემონტი (შეკეთება) და რეკონსტრუქცია.

2.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.(სოფლის მხარდაჭერის პროგრამა).

2.5 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 9147 (ცხრა ათას ასორმოცდაშვიდი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება და კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

ბ) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

დ) თავისი ხარჯით გამოასწოროს გაწეული მომსახურების ხარისხის ხარვეზი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

ე) დაამოწმებინოს ფარული სამუშაოს აქტები თელავის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფს.

ვ) სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად დაასაქმოს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად განიხილოს წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

ბ) მიმართოს წერილობითი შემსყიდველს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

4.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი და შენიშვნები წარუდგინოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

ბ) არ მიიღოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაო და მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი აღმოფხვრა.

5. საგარანტიო პირობები

5.1 შესრულებულ სამუშაოზე გარანტია ვრცელდება სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 (სამი) წლის განმავლობაში.

5.2 საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას მის მიერ არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოს დეფექტი, ხარვეზი შემსყიდველის მოთხოვნისთანავე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც სამუშაოს მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი ან შემსყიდველის მიერ მოწვეული ექსპერტი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) განახორციელებს კონტროლს შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარჯთაღრიცხვასა და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შორის და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია არაუმეტეს 10 (ათი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული სამუშაოს ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც ეტაპობრივი, ასევე საერთო ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, კონტროლის განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული სამუშაოს ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება

განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3 საავანსო ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 15 ივნისამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სამუშაოს მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
თელავის მუნიციპალიტეტი	შპს „ბილდინგი"
მის: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N16	მის: ქ. თელავი, ახვლედიანის ქ. N7
სს ლიბერთი ბანკი	სს პროკრედიტ ბანკი
ანგ. №GE31 LB01 2019 8781 1260 00	ა/N GE22PC0273600100012621
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი MIBGGE22
სკ 231280093	ს.კ. 431166034
ტელ: 0(350)272300	ტელ: 599404846
გამგებელი	დირექტორი
გივი მეტრეველი	ზურაბ სვიმონიშვილი
---------- მ.პ.	---------- მ.პ.